ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

როგორ მივიღოთ პირველი ტიპის ეკო ეტიკეტი

ინფორმაცია მწარმოებლისათვის



1. გაარკვიეთ რომელი ეკოეტიკეტია ხელმისაწვდომი თქვენი
2. გააკეთეთ ინვესტიცია
3. შეცვალეთ საქონლი მოთხოვნების შესაბამისად
4. წარადგინეთ განაცხადი
5. გააკეთეთ რეკლამა და მიიღეთ მოგება

როგორ მივიღოთ ევროკავშირის ეკო ეტიკეტი და მოვახდინოთ პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე

ევროკავშირის ეკო ეტიკეტი არის პირველი ტიპის მინიჭების სქემა, რომელსაც მართავს ევროკომისია და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ეკო ეტიკეტი ხელმისაწვდომია 11 ჯგუფის პროდუქტისათვის - საწმენდი საშუალებები, ტანისამოსი და ქსოვილები, სხვადასხვა მასალის საფარი, საკუთარი ხელით შექმნილი პროდუქცია, ელექტრონული მოწყობილობები, ავეჯი და მატრასები, მებაღეობა, დასასვენებელი ადგილები, ლუბრიკანტები, ქაღალდი, პირადი ჰიგიენის და ცხოველთა მოვლის საშუალებები. მიმდინარეობს მუშაობა ამ სიის გაზრდაზე.

შვიდი საფეხური ევროკავშირის ეკო ეტიკეტის მოსაპოვებლად

1. დაუკავშირდით კომპეტენტურ ორგანოს - დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია ეკო ეტიკეტის მოთხოვნაზე განაცხადის მიღებასა და ლიცენზიაზე ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი პროდუქცია არის ან იქნება გაყიდვაში. კომპეტენტური ორგანო მოგცემთ მითითებებს შემდგომი ნაბიჯების შესახებ.
2. დაარეგისტრირეთ თქვენი პროდუქცია ან მომსახურება ევროკავშირის ეკო ეტიკეტების ონლაინ კატალოგში (ECAT) ან ევროკავშირის ეკო ეტიკეტების ტურისტთა განსახლების კატალოგში.
3. შეადგინეთ თქვენი განაცხადის დოსიე ისეთი სახით, რომ კომპეტენტურმა ორგანომ შეძლოს კრიტერიუმებთან თქვენი შესაბამისობის შეფასება.
4. წარმოადგინეთ თქვენი განაცხადი, გადაიხადეთ განაცხადის ღირებულება და ყოველწლიური გადასახადი.
5. დაელოდეთ თქვენი განაცხადის განხილვას.
6. მიიღეთ თქვენი განაცხადის დადასტურება და ეკო ეტიკეტის ლიცენზია.
7. გაუკეთეთ რეკლამა ეკო ეტიკეტის მქონე თქვენს პროდუქციას ან მომსახურებას.



ევროკავშირის ეკო ეტიკეტის ღირებულება[1]

ევროკავშირის ეკო ეტიკეტის ღირებულება დამოკიდებულია თქვენი საწარმოს ტერიტორიულ მდებარეობასა და სიდიდეზე. საფასური შედგენს განაცხადის ღირებულებას, (200-დან 2000 ევრომდე), წლიური გადასახადი (მაქსიმუმ 18,750 ევრო მიკრო,მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებისათის და განვითარებადი ქვეყნების საწარმოებისათვის) და შემოწმების ხარჯები. პროდუქტის ადაპტირებას, რათა მან დააკმაყოფილოს ეკო ეტიკეტის კრიტერიუმები ,და ლიცენზიის მოდიფიცირებას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ხარჯები.

[1] **EU Ecolabel - How to apply.** European Commission, n.d. https://environment.ec.europa.eu/topics/circular-economy/eu-ecolabel-home/how-apply_en

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoi Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP